

**ჩარჩო შეთანხმება  
გაფრთვისა და ინვენტიციების შესახებ  
აგრძელი შემორჩენილ შტატებსა და  
სამართველოს შორის**

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა და საქართველოს მთავრობა (თითოეული ცალკე მოხსენიებული როგორც “შხარე” და ერთად მოხსენიებული როგორც “შხარეები”);

სურთ რა მხარეებს შორის გააღრმავონ მეგობრული კავშირები და თანამშრომლობა, გააფართოვონ ვაჭრობა და გააძლიერონ ეკონომიკური ურთიერთობები;

აღიარებენ რა საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციებისათვის დია და პროგნოზირებადი გარემოს ხელშეწყობის მნიშვნელობას;

აღიარებენ რა, რომ მხარეებს შეუძლიათ მიიღონ სარგებელი გაზრდილი საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციებისაგან, და რომ ვაჭრობის ხელშემშლელმა საინვესტიციო ღონისძიებებმა და პროტექციონისტურმა სავაჭრო ბარიერებმა შესაძლოა შეაძლიოს ეს სარგებელი;

ცდილობენ რა ხელი შეუწყონ გამჭირვალობას და აღმოფხვრან მექრობამეობა და კორუფცია საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციების სფეროში;

აღიარებენ რა კერძო ინვესტიციების, მათ შორის, როგორც შიდა, ისე უცხოური ინვესტიციების აუცილებელ როლს შემდგომი ზრდისათვის, სამუშაო ადგილების შექმნისათვის, ვაჭრობის გაფართოებისათვის, ტექნოლოგიების გაუმჯობესებისა და ეკონომიკური განვითარების გაძლიერებისათვის,

აღიარებენ რა მათ კონომიკებს შორის ვაჭრობის მზარდ მნიშვნელობას მომსახურების სფეროში;

მხედველობაში იდებენ რა არასატარიფო ვაჭრობის ბარიერების შემცირების სასურველობას მათ ბაზრებზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობის მიზნით;

აღიარებენ რა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღექვატურად და ეფექტურად დაცვისა და აღსრულების, ასევე ინტელექტუალური საკუთრების სფეროს კონკურენციების წევრობისა და მათი დაცვის უზრუნველყოფის მნიშვნელობას;

აღიარებენ რა თითოეული მხარის შრომის კანონმდებლობის შესაბამისად მშრომელთა უფლებების აღეკვატურად და ეფექტიანად დაცვისა და აღიარებული საერთაშორისო შრომის უფლებების დაცვის გაუმჯობესების უზრუნველყოფის მნიშვნელობას;

სურთ რა, რომ უზრუნველყონ, რომ მათი ვაჭრობა და გარემოსდაცვითი პოლიტიკა ორმხრივად ხელს უწყობდეს მდგრად განვითარებას;

სურთ რა ერთმანეთის ტერიტორიებზე წაახალისონ და ხელი შეუწყონ საწარმოებსა და კერძო სექტორის სხვა ჯგუფებს შორის კონტაქტებს;

აღიარებენ რა მათ შორის ვაჭრობასა და ინვესტიციებთან დაკავშირებული პრობლემების რაც შეიძლება სწრაფად მოგვარების სასურველობას;

სურთ რა კიდევ უფრო გააძლიერონ მრავალმხრივი სავაჭრო სისტემა შემდგომი ორმხრივი და ორმხრივად სასარგებლო შეთანხმებების დადებით მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ეგიდით;

აღნიშნავენ რა, რომ მხარეები არიან მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრები და ადასტურებენ რა, რომ ვაჭრობისა და ინვესტიციების შესახებ ეს ჩარჩო შეთანხმება (“შეთანხმება”) არ ათავისუფლებს მხარეებს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან დაკავშირებული ან ამ ორგანიზაციის ეგიდით დადებული სხვა ხელშეკრულებებით, შეთანხმებებით და დოკუმენტებით განსაზღვრული უფლებებისა და მოვალეობებისგან;

მოიხსენიებენ რა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის დადებულ შეთანხმებას „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს რესუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ“ (შემდგომში „ორმხრივი ინვესტიციების შესახებ შეთანხმება“), რომელიც ხელმოწერილია 1994 წლის 7 მარტს მხარეებს შორის და ადასტურებენ რა, რომ ეს შეთანხმება არ ათავისუფლებს მხარეებს ორმხრივი ინვესტიციების შესახებ შეთანხმებით განსაზღვრული უფლებებისა და მოვალეობებისაგან; და

ცდილობენ რა შექმნან მექანიზმი გაძლიერებული თანამშრომლობისა და უფრო ყოვლისმომცველი ხელშეკრულებების მეშვეობით მათი ვაჭრობის გაფართოების ინიციატივების შესახებ შემდგომი დიალოგისათვის;

თანხმდებიან შემდეგზე:

## მუხლი 1

მხარეები ადასტურებენ მათ სურვილს ხელი შეუწყონ ხელსაყრელ საინვესტიციო გარემოს და გააფართოვონ და გაამრავალფეროვნონ მხარეებს შორის საქონლითა და მომსახურებით გაჭრობა.

## მუხლი 2

1. მხარეები ამ შეთანხმებით ქმნიან ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს ვაჭრობისა და ინვესტიციების საბჭოს (“საბჭო”), რომლის შემადგენლობაშიც შევლენ თითოეული მხარის წარმომადგენლები. საქართველოს მხარეს წარმოადგენს საქართველოს ეორომიკური განვითარების სამინისტრო, ამერიკის შეერთებულ შტატებს წარმოადგენს აშშ-ის სავაჭრო წარმომადგენლის ოფისი (USTR). ორივე მხარეს შეიძლება დახმარება გაუწიონ სხვა სამთავრობო ერთეულების ოფიციალურმა პირებმა, გარემოებების შესაბამისად.
2. საბჭო შეიკრიბება იმ დროს და იმ ადგილას, როგორც შეთანხმდებიან მხარეები. მხარეები ეცდებიან, რომ შეხვდნენ სულ მცირე წელიწადში ერთხელ.

## მუხლი 3

საბჭო:

1. განახორციელებს მხარეთა შორის სავაჭრო და საინვესტიციო ურთიერთობების მონიტორინგს, მოახდენს ვაჭრობისა და ინვესტიციების გაფართოების შესაძლებლობების იდენტიფიცირებას, განსაზღვრავს შესაბამის საკითხებს, როგორიცაა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების, მშრომელთა უფლებების და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხები, რომელთა შესახებ შესაძლოა საჭირო იყოს მოლაპარაკება შესაბამის შეხვედრაზე.

2. განიხილავს მხარეებისთვის საინტერესო სპეციფიკურ საგაჭრო საკითხებსა და საინგესტიციო საკითხებს, რომლებიც არ წარმოიშვება ორმხრივი ინვესტიციების შესახებ შეთანხმებით.
3. დაადგენს მხარეებს შორის ვაჭრობისა და ინვესტიციების ბარიერებს და იმუშავებს ამ ბარიერების აღმოსაფხვრელად; და
4. საჭიროების შემთხვევაში ეცდება მიიღოს კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების რჩევა საბჭოს მუშაობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

#### მუხლი 4

მხარეს შეუძლია საბჭოს გადასცეს ვაჭრობასთან დაკავშირებული სპეციფიკური საკითხი, ან ინვესტიციებთან დაკავშირებული სპეციფიკური საკითხი, რომელიც არ წარმოიშვება ორმხრივი ინვესტიციების შესახებ შეთანხმებით, მეორე მხარისათვის წერილობითი მოთხოვნის გადაცემით, რომელიც უნდა შეიცავდეს ამ საკითხის აღწერას. საბჭომ მოთხოვნის გადაცემის შემდეგ სწრაფად უნდა განიხილოს ეს საკითხი, თუ მომთხოვნი მხარე თანახმა არ არის უფრო გვიან თარიღზე. თითოეული მხარე, ისეთი ზომების მიღებამდე, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს მეორე მხარის საგაჭრო ან საინგესტიციო ინტერესებზე, ეცდება საბჭო უზრუნველყოს შესაძლებლობით განიხილოს ეს საკითხი.

#### მუხლი 5

ეს შეთანხმება არ ზღუდავს თითოეული მხარის კანონმდებლობით ან სხვა ნებისმიერი შეთანხმებით განსაზღვრულ უფლებებსა და მოვალეობებს.

#### მუხლი 6

ეს შეთანხმება ძალაში შედის ხელმოწერის შემდეგ.

#### მუხლი 7

ნებისმიერ მხარეს შეუძლია შეწყვიტოს ეს შეთანხმება მეორე მხარისათვის შეთანხმების შეწყვეტის შესახებ შიტყობინების გაგზავნით. შეწყვეტა ძალაში შეგა მხარეებს შორის შეთანხმებული თარიღიდან, ან თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან, 180 დღის შემდეგ შეწყვეტის შესახებ შეტყობინების გადაცემის თარიღიდან.

მოწმეთა თანდასწრებით, ქვემოთ ხელმომწერი სათანადოდ უფლებამოსილი პირები ხელს აწერენ ამ შეთანხმებას.

შესრულებულია ვაშინგტონში, 2007 წლის 20 ივნისს, ორ პირად, თითოეული ინგლისურ და ქართულ ენებზე. ამასთან, ორივე ტექსტი თანაბრად აუთენტურია.

ამერიკის შეერთებული შტატების  
მთავრობის სახელით

საქართველოს მთავრობის  
სახელით